თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2937901

ნომერი: AR1454487

თარიღი : 07.11.2016

გაცემის თარიღი : 15.11.2016

გაცნობის თარიღი : 15.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ევდოშვილის ქუჩა N6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე მაზმიშვილი პ/ნ 43001039319
- ქარელი ს. დირბი მე–15 I შეს. N 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/05/2016 წლის №2590023 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 07/11/2016 წლის №AR1454487 განცხადებით მომართა კონსტანტინე მაზმიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის

11/05/2016 წლის №2590023 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 11/05/2016 წლის №2590023 ბრძანებით ქ. თბილისში, ევდოშვილის ქუჩა №6, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.13.06.011.073) შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო ამავე სამსახურის 30/06/2016 წლის №2684060 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 29 ივნისიდან 2017 წლის 29 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 11/05/2016 წლის №2590023 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, სასტუმროს ნომრების ფართობი დაფიქსირებულია არასწორად, ასევე გამორჩენილია დამხმარე ფართობი. განმცხადებელმა წარმოადგინა გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები - სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ).: 702.3; დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 5.8; საერთო ფართობი (კვ.მ).: 1460.6;
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/05/2016 წლის №2590023 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ).: 702.3; დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 5.8; საერთო ფართობი (კვ.მ).: 1460.6; სამსახურის 11/05/2016 წლის №2590023 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/05/2016 წლის №2590023 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.